

შეგანილია ცვლილებები  
საქართველოს მთავრობის  
09/23/2005 N 170  
11/03/2005 N 199  
11/16/2005 N 203  
03/16/2006 N 63  
03/17/2008, ტ N 65  
04/08/2008 N 84  
დადგენილებებით

**საქართველოს მთავრობის**  
**დადგენილება**  
**N138                      2005 წლის 11 აგვისტო                      ქ. თბილისი**

**ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის**  
**ნებართვისა და ლიცენზიის გაცემის წესისა და**  
**პირობების შესახებ დებულების**  
**დამტკიცების თაობაზე**

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესრულების მიზნით:

1. დამტკიცდეს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის ნებართვისა და ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ თანდართული დებულება.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*გურამ ნოღაიდელი*

დამტკიცებულია  
საქართველოს მთავრობის  
2005 წლის 11 აგვისტოს  
N138 დადგენილებით

**დებულება**  
**ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის**  
**ნებართვისა და ლიცენზიის გაცემის წესისა და**  
**პირობების შესახებ**

თავი I. ზოგადი დებულებანი

## მუხლი 1. დებულების მიზანი

ეს დებულება განსაზღვრავს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის ნებართვისა და ლიცენზიის გაცემის წესსა და პირობებს.

## მუხლი 2. ნებართვისა და ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო

1. ნადირობის ნებართვის (შემდგომში – ნებართვა) და თევზჭერის ლიცენზიის (შემდგომში – ლიცენზია) გამცემი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

2. ნებართვისა და ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილება სამინისტრომ შეიძლება მიანიჭოს თავის ტერიტორიულ ორგანოებს.

3. ნებართვისა და ლიცენზიის გამცემი სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები განსაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით.

## თავი II. თევზჭერის ლიცენზია

### მუხლი 3. თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესი

1. ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით.

2. აუქციონი ცხადდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ადმინისტრაციული აქტით, რომელიც უნდა გამოიცეს აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

3. მე-2 პუნქტში განსაზღვრული ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველია მაძიებლის განცხადება, რომელსაც სამინისტრო იხილავს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, ან სამინისტროს გადაწყვეტილება.

4. ინფორმაციას აუქციონის გამართვის თაობაზე სამინისტროს აქვეყნებს ცენტრალურ პრესაში აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

5. აუქციონის გამართვამდე, მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სამინისტრომ შეიძლება დაადგინოს შავ ბლვასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წყლის სხვა ობიექტებში თევზჭერის თვისებრივი და ღრობი განსაზღვრული ნორმები და წესები, რომლებიც ყოველი თითოეული შემთხვევისათვის მტკიცდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ცალკე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

6. აუქციონის გამართვის, გამარჯვებულის გამოვლენისა და შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის გაცემის წესს ადგენს სამინისტრო.

### მუხლი 4. აუქციონში მონაწილეობის მიღების წესი და პირობები

1. აუქციონის წესით ლიცენზიის გაცემაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა ლიცენზიის მაძიებელს, რომლებიც დააკმაყოფილებენ კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს და იკისრებენ ვალდებულებას დააკმაყოფილონ ლიცენზიის გამცემის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები.

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა

განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. აუქციონში მონაწილეობაზე განცხადება მიიღება აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს 15 დღისა.

4. თუ ლიზენციის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს იცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი ექვემდებარება დაბრუნებას. მოცემული ვადის დარღვევის შემთხვევაში სალიცენზიო მოსაკრებლის თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 5. უარი აუქციონში მონაწილეობის მიღებაზე

1. აუქციონში მონაწილეობისათვის არ დაიშვება მაძიებელი, თუ:

ა) დაგვიანებით წარადგინა აუქციონში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტაცია;

ბ) წარადგინა წინასწარ ყალბი ან არამზუსტი ინფორმაცია;

გ) კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე არ შეიძლება მონაწილეობდეს დანიშნულ აუქციონში.

2. მაძიებელს მოგივირებული უარი უნდა ეცნობოს განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

მუხლი 6. საწყისი ფასი

აუქციონზე გამოგანილი ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის პრინციპების დაცვით ადგენს მინისტრი.

მუხლი 7. ლიცენზიის მოქმედების ვადა

ლიცენზია სამინისტროს მიერ გაიცემა ათ წლამდე ვადით.

### თავი III. ნადირობის ნებართვა

მუხლი 8. ნადირობის ნებართვის მისაღებად წარსადგენი საბუთები

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ტერიტორიებზე, მათ შორის გადამფრენ ფრინველებზე სემონური ნადირობის ნებართვის მისაღებად წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი და მათი წარდგენის წესი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით, ხოლო დამატებით წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი განისაზღვრება „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-9 პუნქტით.

მუხლი 9. ნადირობის ნებართვის გაცემის წესი

1 „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ტერიტორიებზე, მათ შორის გადამფრენ ფრინველებზე სემონური ნადირობის ნებართვა

გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლით დადგენილი პრინციპების შესაბამისად.

2. ნადირობის ნებართვა გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილ ვადებში. ეს ვადები არ უნდა აღემატებოდეს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლით ნებართვის გაცემისათვის დადგენილ მაქსიმალურ ვადებს.

მუხლი 10. ნებართვის მოქმედების ვადა

ნებართვა სამინისტროს მიერ გაიცემა ერთ წლამდე ვადით.

მუხლი 11. ნებართვის ფორმა

ნადირობის ნებართვის ფორმა მტკიცდება მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

მუხლი 12. სხვა პირობები

1. ნადირობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლითა და „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლით დადგენილი შემთხვევები.

2. ნადირობის ნებართვის გასაჩივრებასთან, ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობებთან, სანებართვო მოწმობის და-კარგვასთან ან დაზიანებასთან, ასევე ნებართვის ამოქმედებასთან და მოქმედების ვადასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონები.